წელიწადი 1-ლი გაზ. ფასი 10 კ. ტელეფონი № 76 ხუთშაბათი ივლისის 13 1917 წ.

ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:
ნახევარი წლით . . . 10 მან.
თვიურათ . . . 2 მან.
ცალკე ნუმერი ათი კაპ.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიანთ ნაწილნაწილად გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5 მ. სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მ. და დანარჩენიც სექტემბრის, პირველამდე.

განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე პეტიტის ლირს . . . 25 კ.
უკანასკნელ გვერდზე 15 კ.
ქალაქ გარედან მიღებული განცხადება [illegible] სამგლოვიარო განცხადების [illegible] [illegible] გამომცხადებლისა, ნაშუადღევის [illegible] 2 საათის შემდეგ [illegible]

რედაქცია და კანტორა იმყოფება თბილისის [illegible]
კანტორა ღია დილის 9—2 საათამდის, და საღამოს 5—8 საათამდის, კვირა-უქმე დღეების გარდა.

№ 77 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 77

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისში მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულების გაზეთზე

1917 „საქართველო“ 1917

გაზეთის ფასი: მთელის წლით 15 მან. ნახევარი წლით—9 მან. 3 თვით 5 მანეთი, ერთის თვით 1 მან. 4 აბაზი. წლიურ ხელის მომწერთ ნაწილობითაც შეუძლიანთ ფულის გადახდა: ხელის მოწერის დროს 7 მან. 1 მარტს 5 მან. და 1 თიბათვეს 3 მან. მისამართის გამოცვლა 10 შაური ფოსტის მარკით.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4, ანუ ფოსტის ყუთი № 76. **კანტორა** ღია არის დილის 9—3 საათამდის და საღამოს 5—7 საათამდე. **ტელეფონი** 15—73.

რედაქტორი: **გრიგოლ ვეშაპელი.**
გამომცემელი: **ამხანაგობა „საქართველო“**

ელექტრო **„რადიუმ“** თეატრი

საზაფხულო შენობა.
ივლისის 10, 1917 წ. ნაჩვენები იქნება საუცხოვო სურათი

გახრწნილება

რომანოვთა სასახლისა

დრამა 4 ნაწ. დღიურ ჰიოვარამზე. 1 ნაწ. გრიშკა რასპუტინი ნახულია; 2 ნაწ. გრიშკა რასპუტინი და ალექსანდრა; 3. ნაწ. ნიკოლოზი და ბალერინა; 4. ნაწ. მე მიყვარს ყვავილები.

ანონსი: ივლისის 13, ნაჩვენები იქნება საგულისხმიერო სურათი

მსხვერპლი იმის

მხატვრული დრამა 5 ნაწ. მონაწ. ლ. ვ. გზოვსკის, ნ. ვ. პანოვა და ვ. გ. გაიდაროვა.

ელექტრო **„ამპირ“** თეატრი

საზაფხულო შენობა.
ივლისის 13 ნაჩვენები იქნება საუცხოვო სურათი

ოჰ რა კარგი იქნებოდა გამომეთქვა ხმათ

მხატვრული დრამა 5 ნაწ. მონაწ. სახელმწიფო თეატრის მსახ.

ქუთაისის ქალაქის სასურსათო კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ მის ნება დაურთველათ ქალაქიდან აკრძალულია გატანა შემდეგი საქონლისა: სხვილი ოთხფეხი საქონლისა, შაქრისა, კვერცხისა, პურის ფქვილისა, სიმინდისა, სიმინდის ფქვილისა, ლობიოსი, მუხუდოსი, კართოფილისა, სხვადასხვა კრუპისა, გამომცხვარი პურისა 10 გირვ. მეტის, ბუბლიკის წვრილისა და მსხვილს, ჩაისა, სხვა და სხვა ადგილს დამზადებულის ძეხვის, ბრინჯის, ფართლეულობისა, ტყავეულობისა და რკინისა.

აღნიშნული საქონლის გატანის ნება მიეცემა კოოპერატოვებს; ხოლო იმ ადგილებში, სადაც კოოპერატიები არ არსებობს, ნება მიეცემა ვაჭრებს (არა უმეტეს ორისა თითო რაიონში).

კოოპერატიების რწმუნებლებს უნდა ექნეს კოოპერატივების მიერ მიცემული საჭირო საქონლის სია, ხოლო ვაჭრებს—აგრეთვე სიები ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტისაგან. 3—1

ქუთაისის ქალაქის სასურსათო კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ ქუთათურ კოოპერატიებს და ქალაქის დუქნებს დაურიგდა გასაყიდად ადგილობრივი სიმინდის ფქვილი. ფუთი სიმინდის ფქვილი იყიდება 4 მან. 60 კაპიკათ.

ჩვენი ქვეყნის რედაქციას

ქართულ მწერლობის ერთმა მოტრფიალემ

გადმოსცა 200 მან. საუკეთესო პრემიათ თხზულებისათვის გადმოსცა 200 მან.

(განურჩევლათ დარგისა), რომელიც მოთავსებული იქნება ამავე გაზეთის ფურცლებზე 15 ივლისიდან 1 დეკემბრამდე

[illegible] უნდა იყოს არანაკლები 1-სა და არა უმეტეს 3 ფელეტონისა ე. ი. 400—1200 სტრიქონისა.

ჟიურის შემადგენლობა თავის დროზე გამოქვეყნდება.

მამულიშვილნო!

დღევანდელი მომენტი განსაკუთრებულს ხარჯებს ითხოვს, შემოიტანეთ თქვენი წვლილი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისთვის. შემოწირულება მიიღება „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციის კანტორაში.

დ ღ ე ს:

წერილები:

ინ-ხანი—დღევანდელი რუსეთი.
რეს—ყრილობის გამო.
მ. წერეთელი—საქართველოს ეკლესიისათვის.
რაინდი—მიწის ყიდვა-გაყიდვის საქმე.
მ. ქუთათელი—კადეტები და რევოლუცია.
ჯაბ—ომი.
ქართული პრესა.

ცნობები:

რევოლუციის ამბები. მსოფლიო ომი. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია. საგარეო ვაჭრობა რუსეთში. წერილი ბორჯომიდან. უცხოეთი. ახალი ამბავი.

დღევანდელი რუსეთი.

დიდ საქმეს ყოველთვის დიდი მოვლაც უნდა. ამ რევოლუციისთანა დიდი საქმე კი რუსეთს ჯერ არ გაუჩენია. რაგვარ ქარიშხალს არ გადაუვლია რუსეთის სახელმწიფოზე, რა რიგ დიდი კითხვები არ წამოჭრილა გადასაწყვეტად. მაგრამ ამ რევოლუციას ვერც ომი, ვერც ზავი, ვერც სხვა რამე მოვლენა ვერ შეედრება. მან უნდა გადასწყვიტოს კითხვა: ჩაითვლება რუსეთი კულტურულ და არსებობის ღირს სახელმწიფოდ, თუ სამუდამოდ უნდა გამოეთხოვოს იგი ევროპიულ სახელმწიფოს სახელწოდებას. ამ კითხვის დადებითად გადაწყვეტა სხვა და სხვანაირად ესმის ყველას. ერთი ნაწილი იმპერიალიზმის გზით ლამობს რუსეთის გაბედნიერებას, ხოლო მეორე ნაწილი დემოკრატიულის გზით. ეს ორი ძალა ერთი მეორეს ამოუდგა გვერდით რევოლუციის დაწყებისას, მაგრამ ჟამთა ვითარებამ და რევოლუციის განვითარებამ გამოაშკარავა, რომ ამ ორ ძალათა ერთ ტაფაში დუღილს ან ერთი უნდა ექცია ორთქლად და ან მეორე. დიდი საქმის—რევოლუციის მოვლა შეერთებულის ძალ ღონით უნდა მომხდარიყო, მაგრამ კაცი-ჭამია კადეტებმა ეს ვერ შესძლეს და ნაწილიც სამმართველო დროშისა გაუსხლტათ ხელიდან. თავის სამოქმედო პროგრამაში დემოკრატიული რესპუბლიკაც აღიარეს, არა ველიკორუსთა ავტონომიაც მიიღეს, უკონტრიბუციო და უანექსიო ზავიც, მაგრამ, გასცილდა თუ არა ეს კითხვები პროგრამის ქაღალდის ნაკუწს და წამოჰყო თუ არა გიგანტური და მძლავრი თავი ცხოვრების სინამდვილეში, აშკარა შეიქნა, რომ მათი პროგრამა მარტის დღესავით მატყუარი არის და მოდისა და მომენტის მიხედვით იცვლება. მათ ვერ მოუარეს რევოლუციას და წავიდნენ. წავიდნენ დამარცხებულნი, ნიღაბ ახდილნი და გატიტვლებულნი. შეიქმნა სამინისტროს კრიზისი. დემოკრატია გულცივად ვერ შეჰყურებდა იმ შესაძლებლობას, რომ წითელი რევოლუცია შავად შეღებილიყო. ის გაბედულად ჩაუდგა აფორიაქებულ რუსეთს სათავეში, ხელთ იხდო საჭე მისი და, როგორც მოსალოდნელი არის წმინდა წყლის დემოკრატიისაგან, რუსეთი რესპუბლიკურ სახელმწიფოდ გამოაცხადა. ასეთი გონიერი ნაბიჯი ჯერ არ გადუდგამთ რევოლუციის მესვეურთ. მას შემდეგ, რაც კადეტები და ძველი რეჟიმის მოტრფიალენი სასტიკად დამარცხდნენ ყველგან, მას შემდეგ, რაც მათ ჯარმა ზურგი უქცია, გლეხობამ გვერდით აუარა, არა რუსებმა მტრულად დაუწყეს ყურება და ყოველგვარ არჩევნებში უკიდურეს უმცირესობად გამოჩნდნენ, ყოველივე ამის შემდეგ ულოღიკობა იქნებოდა ახალი შემადგენლობის დროებითი მთავრობის მხრივ, რესპუბლიკური წესწყობილება რომ არ ეღიარებინა რუსეთისათვის. დამფუძნებელი კრება მომხდარი ფაქტის წინაშე წარსდგება და ამ მხრივ მუშაობა გაუადვილდება. რევოლუციამ ამ მხრივ დიდი გამარჯვება მოიპოვა.

მაგრამ ეს ცოტა არის, ძალიან ცოტა. მას მეორე და მესამე ხაზი აქვს ჯერ-ჯერობით კიდევ დასაპყრობი. ერთი არის ეროვნული კითხვა და მეორეც ომი და ზავი. ამათ წარმოშვეს ეს რევოლუცია და ამათი უყურადღებოდ გაბათილება იქნება უკვე გაკეთებულისა.

ამიტომ აქაც გონიერი ნაბიჯების გადადგმა მართებს დროებით მთავრობას. ნაწილობრივ საჯაროდ აღიარა და გამოასწორა კიდეც თავისი შეცდომები. უკრაინა, პოლონეთი და ფინეთი მან იცნო თავისუფლების ღირსად. ბევრი სხვა ერი დარჩა კიდევ გასათავისუფლებელი. აქამდის ყველა ერი ერთს აზრს ადგა: თუ თვით არ უშველე ჩემს თავს, რუსეთი არასფერს გამოიმეტებს ჩემთვისო. დროებითი მთავრობა ვალდებულია რევოლუციის გულისათვის ასეთი შეხედულება გააქარწყლოს ყველა ერში და ორჭოფული პოლიტიკა სამუდამოდ გასთელოს ფეხით.

მან უნდა სათითაოდ ჩამოსთვალოს ყოველი ჩაგრული ერი და დეკლარაციის სახით დაარწმუნოს ყველა ერი, რომ მათი თავისუფლება უზრუნველ-ყოფილია. კერძოდ' საქართველოსათვის, ეს დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს, რადგან ჩვენი ეთნოგრაფიული მთლიანობა და რუსებისაგან განსხვავება რეალი სინამდვილე არის. ასევე უნდა იქნეს ყველასათვის. თუ ეს არ მოხდა, შეუძლებელია რევოლუცია გამარჯვებულად ჩაითვალოს და ახალმა მთავრობამ ნდობა მოიხვეჭოს, რაც ეგრე რიგად აუცილებელი არის მისთვის და მთელი რუსეთისათვის. იქ, სადაც რესპუბლიკური წყობილება მარტო ქაღალდზე კი არ არის დაწერილი, არამედ რეალ სინამდვილესაც წარმოადგენს, შეუწყნარებელია ჩაგრული ერის არსებობა. თუ ერი ერად არის ცნობილი, მისი ავტონომიაც აღიარებული უნდა იქნეს, აქაც ცდა და გადაგზავნ გადმოგზავნა დამფუძნებელ კრებაზე, ულოღიკობა და ორჭოფობა იქნება, თუ გინდ დემოკრატიული ახალი შემადგენლობის მთავრობის მხრიდანაც.

ამ კითხვათა გარდა ბევრი სხვა კითხვები არის წამოჭრილი, როგორიც არის მიწის კითხვა, ვაჭრობა-მრეწველობისა, სურსათ-სანოვაგისა და სხვა, რომელთაგან ბევრის გადადება არ შეიძლება, ხოლო უმთავრესი და თავსატეხი არის ომისა და ზავის კითხვა.

ნათელი შეიქმნა უკვე, რომ ომის წარმოება შლის და აჩიავებს უზარმაზარ რუსეთს, რომ მისი გაგრძელება შეუძლებელია და სიკვდილის წინამორბედიც. ეს მეტად რთული კითხვაა. რუსეთმა რომ გერმანეთთან სეპარატიული ზავი ჩამოაგდოს, ამით ომი დასრულებულად არ ჩაითვლება. ომის დასრულებაზე მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა ლაპარაკი, როცა ყველა მეომარი სახელმწიფოები დასთანხმდებოდნენ დაუყოვნებლივ ზავის ჩამოგდებას. მეორე მხრით აშკარაა, რომ რუსეთს ომის საწარმოებლად ძალა არ შესწევს. შეტევის წარმოება რუსის ჯარმა ვერ მოახერხა და პირველ წინააღმდეგობისათანავე გერმანელების მხრივ, ჯარი უკან გამორბის. მას ვერ უშველა ვერც კერენსკისა, ვერც მთავრობასა და მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოების უამრავმა მოწოდებებმა და ვერც იარაღითა და სურსათ-სანოვაგით უზრუნველყოფამ. ომის დაუყოვნებლივ გათავება და ზავის ჩამოგდება მიუცილებელ საჭიროებად გარდაიქცა. ხოლო რა გზით? ეს დროებით მთავრობის ახალმა შემადგენლობამ უნდა გადასწყვიტოს და სულ მოკლე ხნის განმავლობაში, თორემ რუსეთიც საფრთხეშია, რევოლუციაც უფსკრულისაკენ მიექანება და თავისუფლებაც სამარის პირზედა სდგას. როგორ გამოვა დროებითი მთავრობა ამ აბურდულ-დაბურდულ ქსელიდან ორ-სამკვირეში უნდა გამოირკვეს. და, თუ არ გამოირკვა, სასწაული უნდა მოხდეს რუსეთის სახსნელად.

ყოველ შემთხვევაში ეროვნული კითხვის გარდაუდებლივ მოგვარება და უნიღაბო ფიზიონომიის ჩვენება ეხლავე უნდა მოახდინოს ახალმა რუსეთმა, რომ ამ მხრით მაინც აიცდინოს თავიდან კარზე მომდგარი გასაჭირი და გაიადვილოს ზავის ჩამოგდების სასწრაფო საქმე.

ეს იქნება საუკეთესო საწინდარი იმისა, რომ სისხლის ღვრა შიგნით აღარ მოხდება და რევოლუციაც გაიმარჯვებს.

ინ-ხანი

ყრილობის გამო.

(საგუბ. აღ. კომიტ.)

ივლისის 10-ს დასრულდა ქუთაისის გუბერნიის აღმ. კომიტეტის ყრილობა და არჩევანიც მოხდა.

დღევანდელ არევ. დარევისა და კრიტიკულ მომენტში ასეთ ყრილობას მეტად დიდი მნიშვნელობა ეკუთვნა. ყრილობა თავის შემადგენლობით სოც. დემოკრატიულ მიმართულების მიმდევართაგან შესდგებოდა საგუბერნიო აღმასრულებელი კომიტეტის წევრებათ და თანამშრომლებათ დიდი უმრავლესობა სოც. დე-ბი არიან.

ფედერალისტების პარტიამ ყრილობა შესაფერ განცხადების წარუდგენლათ დასტოვა.

ყრილობაზე ბევრი რამ საყურადღებო გამოაშკარავდა ბ-ნ გრ. ურატაძე ამბობდა, რომ ქუთაისის გუბერნიაშიც გაჩნდენ პატარ-პატარა კრონშტადტელები, რომლებიც დამოუკიდებლად მართავდენ ადგილობრივ საქმეს, აწერდენ ხარჯებს და არ ემორჩილებოდენ ქუთ. აღმ. კომიტეტს. მომხსენებლის აზრით ეს გარემოება ამით აიხსნა, რომ დღემდის არ არსებობდა საგუბერნიო აღმ. კომიტეტი, რომელსაც უნდა დაქვემდებარებოდა მაზრების აღმ. კომიტეტები. ქუთ. აღმ. კომიტეტი არ იყო საგუბ. აღმ. კომპენტენციით აღჭურვილი. მაზრის აღმ. კომიტეტები მის „სურვილისამებრ“ უწევდენ ანგარიშს.

ამნაირათ საგუბერნიო აღმ. კომიტეტის დაარსება და მჭიდრო ორგანიზაციის შეკვრა მიუცილებელი შეიქმნა.

ძვირფასი მასალები წარმოადგინეს ხალხის ამდროულ უმწეო ყოფის შესახებ. სურსათის კრიზისი ყოველ ჩვენს კუთხეში უკვე საშინელებათ ქცეულა.

რაჭა-ლეჩხუმსა, შორაპანსა და სამეგრელოში სიმშილს ქრონიკული ხასიათი მიუღია. უბედურებას ის გარემოებაც უწყობს ხელს, რომ ზოგიერთ ადგილებში მცხოვრებნი მალავენ სიმინდს. გასაყიდად არ გამოაქვთ, შიმშილობის წინააღმდეგ ყრილობამ მიიღო რეზოლუცია:

1) ყველა ადგილობრივი სასურსათო კომიტეტი უნდა ექვემდებარებოდეს საგუბერნიო სასურსათო კომიტეტს; 2) სურსათს თანასწორათ ანაწილებს საგუბ. სასურსათო კომიტეტი; 3) ყოველგვარ სურსათ სანოვაგეზე შემოღებულ უნდა იქმნას საბარათო სისტემა; 4) მოეთხოვოს დრ. მთავრობას, რომ ქუთაისის გუბერ-

ნიას მიეცეს საყოფი სიმინდი; 5) შუამდგომლობა აღიძრას საზღვაო მთავრობის წინაშე. ქუთ. გუბერნიას სიმინდის შემოსაზიდად მიეცეს ორი სატრანსპორტო გემი.

ეთხოვოს სურსათის სამინისტროს საჩქაროდ მოაშველოს ქუთაისის გუბერნიას 5 ვაგონი სიმინდი 25 ივლისამდე 7) გამოცხადდეს სურსათის მონოპოლია. სხვანაირად არც შეიძლებოდა.

დამშევა ჩვენი ყოფნა არ ყოფნის კითხვაა. ყველა კერძო პირი და საზოგადო დაწესებულებანი მოვალენი არიან ამ სახალხო უბედურებასთან საბრძოლველად ენერგიული თანამშრომლობა გასწიონ.

საგუბერნიო ალმ. კომიტეტი როგორც ზემოთ ვსთქვით, თვისი შემადგენლობის მიხედვით პარტიულ დაწესებულებათ წარმოდგა- საქვეყნო საერო საქმეებისთვის მოწოდებული უნდა იყოს ყველა წრის და მდგომარეობის ხალხი. ამას მოითხოვენ თვით ხალხის პირდაპირი ინტერესები. მიუხედავად ყველა ამისა, ჩვენ მაინც მივესალმებით ახალ საგუბერნიო კომიტეტს და ვუსურვებთ ნაყოფიერ ენერგიულ შემოქმედებითი მუშაობას ხალხის საკეთილდღეოთ, და ძნელ კრიზისების თავ დასახწევათ. „შენ ჩემიობა“ საერო მოღვაწეობის ასპარეზზე დამღუპველია.

დაე ხალხისთვის რაიმე სასურველი გაკეთდეს— ხალხი საშინელ მდგომარეობიდან გამოვიდეს და ჩვენ ყველას, გულწრფელათ დავუმადლებთ ვინც ასეთ სამსახურს გასწევს.

რეს.

საქართველოს ეკლესიისათვის.

საზღვარგარეთულ ქართველთა ხმა.

ჩვენ, საზღვარგარედ მცხოვრებნი ქართველნი, ენერგიულ პროტესტს ვაცხადებთ რუსეთის დროებით მთვრობის წინააღმდეგ, რომელმაც საქართველოს ერსა და სამღვდელოებას დაუშალა და აღუკრძალა დაუყოვნებლივ აღდგენა ივერიის ეკლესიის ავტოკეფალიისა. მოქმედება დროებით მთავრობისა სრულიად უკანონოა, წინააღმდეგ საეკლესიო სიმართლისა, რადგანაც საქართველოს ეკლესია ამ სიმართლით ავტოკეფალურია, მას მხოლოდ ძველის რუსის მთავრობის ძალადობის წყალობით არ შეეძლო სარგებლობა თავის უფლებებითა. ქართველი ერი და სამღვდელოება სრულიადაც არ არიან ვალდებულნი შეატყობინონ ივერიის ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა რუსეთის მთავრობას, რომლის კომპეტენციაშიაც სრულიად არ შედის ჩვენი ეკლესიის საკითხის გადაწყვეტა. მხოლოდ მსოფლიო პატრიარქებს—პაპს, იერუსალიმის პატრიაქებსა და სხ. უნდა შეატყობინონ ქართველმა ერმა და სამღვდელოებამ საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენა.—ვერავითარი დამფუძნებელი კრება რუსეთის ვერ გადაწყვეტს კანონითა და სამართლით საქართველოს საეკლესიო საკითხს იგივე მიზეზით: მას არ აქვს ამის უფლება! ამიტომაც საქართველოში გამოგზავნა ბ-ნ პანეშევიჩისა ჩვენი ეკლესიის საკითხის შესასწავლად—სრულიად ზედმეტია და უკანონო, ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალია საეკლესიო სამართლის ძალით ფაქტად ხდება, როდესაც კათალიკოსი იქნება ამორჩეული ერისა და სამღვდელოების მიერ და ეს ეცნობება მსოფლიო პატრიაქებს.—ეს აქტი დროებითი მთავრობისა ეწინააღმდეგება აგრეთვე მისსავე პირველ მანიფესტს, რომლის ძალითაც რუსეთის სახელმწიფოში ისპობა ყოველივე ეროვნული და სარწმუნოებრივი შეზღუდვა. ჩვენთვის ქართველთათვის კი სარწმუნოებრივ შეზღუდვის მოსპობა ნიშნავს უპირველეს ყოვლისა რუსის ექსარხოსის თბილისიდან დაუყონებლივ დათხოვნასა და საქართველოს კათალიკოზის ამორჩევას.—ასეთი მოქმედებანი დროებით მთავრობისა კარგს არას მოასწავებენ, აქ არის დასაწყისი ძველის წესწყობილებისადმი და ეროვნულ დევნისადმი დაბრუნებისა და ჩვენ ვუცხადებთ რა პროტესტს დროებით მთავრობას, წინადადებას ვაძლევთ მას აგრეთვე, იმ რევოლიუციის სახელით, რომელიც მარტო რუსის ხალხს კი არ მოუხდენია, არამედ ყველა ერებმა რუსეთისამ, 1) ნუ ერევა ჩვენს საეკლესიო საქმეებში, რის უფლებაც მას არ აქვს სამართლის ძალით 2) ნუ დაუშლის ქართველს სამღვდელოებას და ერს დაუყონებლივ ამორჩეულ იქმნას მათ მიერ კათალიკოზი საქართველოისა, რომელიც იქმნება მწყემსი—მთავარი ყველა მართლ-მადიდებელ ქართველთა, განსაკუთრებით კი ჩვენს ისტორიულ ეთნოგრაფიულ საზღვრებში, 3) მოსპობილ იქმნას თანამდებობა საქართველოს ექსარხოსისა.

ჩვენ აგრეთვე პროტესტს ვაცხადებთ ქართველი ერისა და სამღვდელოების წინააღმდეგ, რომ დაემორჩილა რუსეთის დროებით მთავრობის უკანონო ბრძანებას, და მოვითხოვთ, ამორჩეულ იქმნას დაუყონებლივ კათალიკოზი, რადგანაც არავითარ ძალას ქვეყანაზედ არა აქვს უფლება დაგვიშალოს გვყავდეს თავი იმ ეკლესიისა, რომელიც მე-XI საუკუნიდან აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიათა მიერ დამოუკიდებლად არის აღიარებული და უფროსი არა ჰყავს, გარდა თვით საქართველოს ერისა, რომელსაც იგი ეკუთვნის.

საზღვარგარედ მყოფ ქართველთა მონდობილებით. **მ. წერეთელი.**

ქ. სტოკჰოლმი. 2 მაისი 1917 წ.
(საქარ.)

პრესა.

ლენინის შესახებ.

რევოლუციის უკანასკნელ კრიზისისა გამო და ლენინის მოღვაწეობის შესახებ გაზ. „ერთობა“ შემდეგს სწერს:

მოღალატეობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, დანაშაული რევოლუციის და თავისუფალ რუსეთის ხალხის წინაშე აუწერელია. ლენინმა და მისმა ამყოლ-დამყოლებმა ტარტაროზმეფისტოფელის როლი ითამაშეს და და მთელი რევოლუციის ხანაში ხალხის თავისუფლებას სდევნიდენ გერმანიისა და რუსეთის ბნელ ძალებს იხმარებდენ და რევოლუციას ძირს უთხრიდენ. პროვოკაციულისა და დემაგოგიურ აგიტაციის მეოხებით ფრონტზე და ფრონტის ზურგს უკან მდგომ ჯარში წარმოუდგენელი დეზორგანიზაციული საქმე დაიწყეს და ნაკლებათ გათვითცნობიერებული ძალები მათი აგიტაციის მსხვერპლი გახდენ.

ოფიციალი დეპეშების ცნობით დასავლეთ ასპარეზზე რუსეთის ჯარის ფრონტი გაარღვიეს, ჯარმა ბრძოლის უნარი დაჰკარგა და ისინი მასიურათ უკან გამორბიან, უბრძოლველათ მთელს გალიციას სტოვებენ და ყველაფერს ვილჰელმისა და ავსტრიის ჯარს უტოვებენ.

ვილჰელმის იმპერიალიზმა უმაღლეს საფეხურს მიაღწია, რუსეთის რევოლიუციური არმია ამ რეაქციისა და ბარბაროსულ ბატონობის მოციქულს ყველაფერს უტოვებს და მას საშვალებას აძლევს, როგორც გერმანიაში,—ისე რუსეთში შავნელი პოლიტიკური და ეკონომიური პირობები გაამეფოს.

გერმანიის იმპერიალისტებმა საწადელს მიაღწიეს; უმგვანო აგიტაციის მეოხებით რუსეთის ჯარმა მოგერიებითი ბრძოლის უნარი დაკარგა და მით რუსეთის რევოლუცია საფრთხეშია.

მოგერიებითი ბრძოლა რუსეთის „მემარცხენე მიმდინარეობამ უარყო, მან ამაში პროლეტარიატის მოღალატეობა დაინახა, მათ დაივიწყეს მარქს-ენგელსის შეურყეველი შეხედულება, როცა ისინი გერმანიის პროლეტარიატს 1871 წ., როცა საფრანგეთის ჯარი ელზას-ლოტარინგიას შეესივნენ სამშობლოს დაცვას ურჩევდენ, ხოლო როცა გერმანიის ჯარმა საფრანგეთის ტერიტორია გადალახა, მაშინ იგივე მარქსი და ენგელსი საფრანგეთის მუშათა კლასს თავდაცვისაკენ მოუწოდებდა. მაგრამ არც ისტორიული გაკვეთილები, არც პროლეტარიატის საუკეთესო ხელმძღვანელების მოწოდება-შეხედულებანი უპასუხის მგებლო ლენინისათვის და მის მიმდევრებისათვის ანგარიშში მისაღები არის და ისინი გერმანიის აგენტების მეოხებით თავისუფალ რუსეთს მტრის კლანჭებში აგდებენ.

მათ დავიწყებიათ, რომ ვილჰელმის ამა თუ იმ გზით გამარჯვება, ეს მთელ ევროპაში და განსაკუთრებით იმპერიალიზმის გამარჯვებას ნიშნავს და საერთაშორისო დემოკრატიის დასუსტება აუცილებელი საქმეა. მაგრამ რუსეთის რევოლიუციური კლასები და მათი ორგანოები ყოველ ღონეს მიიღებს შინაური თუ გარეული მტერი მოიგერიოს, განსაცდელი თავიდან აიცილოს და მათ რევოლუციის გამარჯვება მკვიდრ ნიადაგზე დააყენოს. ლენინისა და მისი მიმდევრების ავანტიურა რევოლუციურმა დემოკრატიამ სამარცხვინო ბოძზე უნდა გააკრას და მათსა და ბურჟუაზიისმოქმედებას კონტრ-რევოლუციის დაღი დაასვას.

მიწის ყიდვა გაყიდვის საქმე.

ამ ორი თვის განმავლობაში ნოტარიუსებს ერთი-მეორის საწინააღმდეგო ცნობები მოსდის: ხან ატყობინებენ, მიწის ყიდვა-გაყიდვა აკრძალულიაო ხან კიდევ აცნობებენ ეს განკარგულება გაუქმებულიაო, ისე რომ, აღარ იცის კაცმა. რომელი განკარგულება მიიღოს ნამდვილ დადგენილებათ.

როდესაც ცხოვრება აფორიაქებულია, შეუფერებელი გადაწყვეტილება, შეცდომა მრავალ შემთხვევაშია მოსალოდნელი, მაგრამ მიწის ყიდვა-გაყიდვის საქმეში არევ-დარევა არ უნდა მომხდარიყო. ყველამ ვიცით, რომ დღევანდელი რუსეთის რევოლუცია პოლიტიკური რევოლუციაა ის ყიდვა გაყიდვის საქმეს არც შეხებია და არც უნდა შეხებოდა. ისიც გათვალისწინებული გვაქვს, რომ ყიდვა გაყიდვის საქმე ხალხის ცხოვრების საჭიროებას წარმოადგენს.

და სანამ იგი ნორმალის გზით არ შეიცვლება მანამ არავის აქვს უფლება ხალხი შებორკოს.

თუ აქამდე ვკიცხავდით და ვებრძოდით ადმინისტრატიულ ცირკულიარები ძალით კანონების გაუქმებას, ახლა, ამ უკეთეს დროში, ცირკულიარების ამ მიზნით გამოყენებას ადგილი არ უნდა ქონდეს. ყველა დააბნია ჩერნოვის პროექტმა, რომელიც მან მაისში გამოაქვეყნა ამ პროექტში ცხადათ არის გამოთქმული, რომ მიწის კითხვის გადაწყვეტის უფლება მხოლოდ დამფუძნებელ კრებას ეკუთვნის.

სანამ ეს კრება რამეს გადასწყვეტდეს, მიწათ მფლობელობა იმ მდგომარეობაში უნდა დარჩეს, როგორშიც იყო 1 მარტამდე, ხოლო მას აქეთ დაწერილი საბუთები ფიქტიურად უნდა ჩაითვალოს.

მეტი არ იქნება შევნიშნოთ, რომ თუ ამ პროექტის ავტორს მხედველობაში უცხოეთი ჰყავს, ეს პროექტი საწადელს ვერ მიაღწევს, რადგან სხვა სახელმწიფო სრუსეთში მცხოვრებ თავიანთ ქვეშევრდომებს არ დაგვიჩაგვრინებენ. ხოლო თუ ეს პროექტი რუსეთის ქვეშევრდომთ შეეხება, აქ ჩემის აზრით ყრველი შიში უადგილოა რადგან მიწის რაოდენობა არ შემცირდება იმისაგან, თუ ვის ხელში იქნება მიწა დამფუძნებელ კრების დროს მეორე მხრით უნდა გვახსოვდეს ის გარემოება, რომ კანონი მიწის მფლობელობაზე ჯერ არ შეცვლილა. მხოლოთ ფიქრობენ, რომ მომავალში შეიცვლებაო.

მერე რა დასკვნა უნდა გამოვიტანოთ აქედან? მხოლოთ ის, რომ როდესაც ახალი კანონი და წესდება ამ კანონით უნდა ვიხელმძღვანელოთ მომავალში.

ყველა ქვეყნის კანონი შეიძლება (ბუშმენებიც არ შეადგენდენ გამონაკლისს) კატეგორიულათ მოითხოვს, რომ ყოველი მოქმედება არსებულ კანონს შეესაბამებოდეს და ყველა ამ კანონით ხელმძღვანელობდეს.

მე ვყიდულობ, რის ყიდვის უფლებაც მაქვს არსებულ კანონის ძალით, ვყიდულობ იმ წესით, რომელიც კანონს დაუდგენია.

შეიძლება ვინმემ მითხრას, შენ ნება არა გაქვს აგრე მოიქცე, რადგან ეს კანონი შეიძლება მომავალში შეიცვალოსო? მე მგონია, მტკიცება არ უნდა იმას, რომ ყველა ქვეყნის კანონი, სალი ჭკუა და მოსაზრება ამის წინააღმდეგია.

კიდევ უფრო დიდი უაზრობა ულოღიკობა და უსამართლობაა, როდესაც ამბობენ, მარტის 1 ლს აქეთ დაწერილი საბუთები უკანონოთ უნდა ჩავრიცხოთო.

როგორ? ვითომ მარტის 1-ლს გამოსცეს მიწის შესახებ კანონი? არა. კანონი არათუ მარტის 1-ლს არ შეცვლილა, არამედ იგი დღესაც უცვლელია.

შეიძლება ვისმე უფლება ქონდა ადმინისტრაციულის წესით კანონი შეეცვლა, მართლაც შესცვალა იგი მარტის 1-ლს და ეს გარემოება ამცნო ხალხს და ნოტარიუსებს?

არა. შეცვლის ნება არავის ქონია და არც ნოტარიუსებს მოსვლიათ სახელმძღვანელოთ ერთნაირი ცნობა მარტის, აპრილისა, მაისისა და ივანობისთვის განმავლობაში.

მაშ რა მოსაზრებით, რომელის კანონის ძალით რევენ საქმეს და გზას უბნევენ ხალხს?!

ნუთუ იმ მოსაზრებით, რომ ყოველ მხრივ ჩამორჩენილი რუსეთი ყველა განათლებულ სახელმწიფოს წინ გაუსწრებს და ცხოვრებაში გაატარებს იმას, რაც მიუღწეველ ოცნებათ უნდა ჩაითვალოს.

რაინდი.

ხუთშაბათს 13 ივლისს საღამოს 8 საათზე გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორაში დანიშნულია გაღმა უბნის მოსწავლე ახალგაზდობის (ვაჟთა და ქალთა) ეროვნულ დემოკრატიულ მიმართულების კრება ამხანაგებს დაბეჯითებით ვსთხოვ დაესწრონ.

ახალი ამბავი

გაზეთ „ჩვენი ქვეყნის“ კანტორა სთხოვს ხელის მომწერთ, რომელთაც ვადა გაუთავდა ან უთავდება დროზე შემოიტანონ ხვედრი ფული, უკიდურეს შემთხვევაში კანტორა იძულებული იქნება შეუწყვიტოს გაზეთების გზავნა.

არჩევნები ქუთ. საგუბერნიო ალმ. კომიტეტში. საგუბერნიო ალმ. კომიტეტის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ბ-ნი გრ. ურატაძე, მის ამხანაგათ ბ-ნი ი. თევზაძე. გუბერნიის კომისარათ ბ-ნი გრ. გიორგაძე.

◆ მღვდლის დაჭრა. ივლისის 10-ს დასჭრეს დ. ყვირილიდან სოფ. საქარაში მიმავალი მღ. კირილე კავილაძე.

◆ საგუბერნიო სასურსათო კომიტეტში საგუბერნიო სასურსათო კომიტეტი აცხადებს, რომ სურსათის სარეკვიზიციო საწყობი 12 ივლისიდან გადაეცა ქალაქის სასურსათო კომიტეტს და დღეიდან ყოველივე დაჭერილი სანოვაგე უნდა გადაეცეს ქალაქის სასურსათო კომიტეტს და არა საგუბერნიო სასურსათო კომიტეტს.

— სასურსათო საქმე. ქალაქის სასურსათო კომიტეტში ქალაქის სასურსათო კომიტეტმა უკვე ჩაიბარა საგუბერნიო სასურსათო კომიტეტისაგან სარეკვიზიციო საწყობი.

ქალაქის სასურსათო კომიტეტი კოოპერატივებს ურიგებს საუკეთესო ხარისხის სიმინდის ფქვილს, ფუთს 4 მ. 50 კაპ.

ქუთაისის ვაჭართა მამასახლისმა განკარგულება მიიღო. რომ დღეიდან ქუთაისიდან საქონლის გატანის უფლება აქვთ მხოლოდ კოოპერატივებს და ისიც მხოლოდ ამ ადგილებიდან, სადაც კოოპერატივები არ არის. საქონლის გატანა შეუძლიათ წვრილ ვაჭრებს ალმ. კომიტეტების ნებართვით.

— კ. ფოცხვერაშვილი. ქუთაისში ჩამოვიდა კომპოზიტორი, კ. ფოცხვერაშვილი, მას დაუწერია 1 მოქ. პიესა „სოციალისტები“, რომელსაც ამ ახლო მომავალში ქუთაისის სცენაზე დასდგამენ.

— შეკითხვა. ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტის სამთო მადნო მრეწველობის კომისია სთხოვს ქუთაისის ალმ. კომიტეტს, შეატყობინოს მას ჰელზენკირხენის გარდა კიდევ მოწინააღმდეგე სახელმწიფოს რომელ ქვეშევრდომს აქვს საწარმოვო მფლობელობა დ. ჭიათურაში.

— ამინდი. უკანასკნელ დროს ქუთაისში ძლიერი სიცხეები დაიჭირა.

◆ ლექციის გადადება. ბ-ნ სერგო გორგაძეს დღეს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობის შესახებ ქალაქის თეატრში საჯარო ლექცია უნდა წაეკითხა მაგრამ, რადგან დღეს თეატრის დარბაზი დაკავებული აღმოჩნდა, ამიტომ დღეისთვის ბ-ნი სერგო გორგაძე ქუთ. სასულიერო სასწავლებელში ლექციას წაუკითხავს სამღვდელოებას, მხოლოთ შემდეგ ამ ლექციას გაუმეორებს ხალხს.

◆ სწავლის ფულის მომატება. როგორც გავიგეთ, მომავალ სამოსწავლო წლიდან ქუთაისის ქართული გიმნაზიაში სამოსწავლო გადასახადი წლიურათ 120 მანეთამდე ავა.

— შემოწირულება. ჩვენი გაზეთის ფონდის სასარგებლოთ თ დ დავით ბაგრატიონმა შემოსწირა 25 მანეთი, ხოლო ექიმმა ბ-ნ მიხეილ ლორთქიფანიძემ 20 მანეთი. რედაქცია გულწრფელ მადლობას უძღვნის შემომწირველთ.

◆ აღწერა. მთელს გუბერნიაში აღწერა უკვე დაიწყო. ქუთაისში აღწერა დაიწყება ივლისის 20 ს საგუბერნიო სასტატისტიკო ბიუროს თავმჯდომარე აგრონომი ვ. კანდელაკი საოხუმის ოლქი გაემგზავრა აღწერის საქმის დასაწყებათ.

თბილისი

— თავდასხმა დეპუტატ აკაკი ჩხენკელზე შაბათს ივლისის 8, საღამოს 10 საათზე დეპუტატი აკ. ჩხენკელი ავტომობილით კოჯორიდან თბილისში მოემგზავრებოდა, ქალაქიდან სამი ვერსის დაშორებით მას დაეცა სამი შეიარაღებული ბოროტგამზრახველი, რომელთა შორის ორი, სამხედრო ტანისამოსში იყო. ჩხენკელის ერთი თანამგზავრი ნაფიცი ვექილი მაჭავარიანი შეეცადა წინააღმდეგობა გაეწია, მაგრამ მას თავში დაჰკრეს და თავი გაუჩეხეს. აკაკი ჩხენკელს წაართვეს ფული და ძვირფასი ნივთები. ამ დროს გამოჩნდნენ მილიციონერები და ასტეხეს სროლა, სროლაში დაიჭრა ერთი მილიციონერი, ბოროტგამზრახველები მიიმალნენ. გამოძიება სწარმოებს.

— „ამირანი“-ს დამფუძნებელი კრება. ივლისის 9-ს ქართველ გიმნაზიის შენობაში მოხდა ქართველ მხედართა კავშირის სასპორტო კლუბის „ამირანი“-ს წევრთა კრება. ხალხი ბლომად დაესწრო. ეს იყო მეორე დამფუძნებელი და მასთან საზეიმო კრება. მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს. პლ. ლეჟავამ, ჯარის კაცმა კულულაშვილმა, „შევარდნის საზოგადოების წარმომადგენელმა ვარდანიშვილმა. ექ. ჯავახაშვილმა, ჯარის კაცმა, ინჟენერმა მარგანიძემ და სხ. შემდეგ წაკითხულ იქნა კლუბის სახელმძღვანელო ინსტრუქცია და ბოლოს დაიწყო „ამირანი“-ს წევრთა მიღება. კრება ნაშუადღევის პირველ საათზე დასრულდა. კლუბში მეცადინეობა დაიწყო გუშინ საღამოს, მოვარჯიშენი ორას კაცამდეა.

— ქალაქის და სოფლის აღწერისათვის კავკასიის მთავარ სამმართველოსთან არსებულ ცენტრალურ ბიუროს გამოუცია სახელმძღვანელო წიგნაკი აღმწერლებისათვის, სადაც ამნაირ უმსგავსოებას ვკითხულობთ: ,,ყოველ პირის გასწვრივ აღინიშნება ეროვნება ე. ი. რა ერს, ხალხს ეკუთვნის—ყაზანელ, კავკასიელ და ყირიმის თათრებს, სომხებს, ქართველებს გურულებს, მეგრელებს, იმერლებს, ოსებს და სხვ. (25 გვ. 9 მუხლი).

— დამფუძნებელ კრების სამზადისში. ივლისის 6-ს, დეპ. აკ. ჩხენკელის თავმჯდომარეობით შესდგა კრება დამფუძნებელ კრების საკითხის განსახილველად. ყველამ ის აზრი გამოსთქვა, რომ კავკასია 5 საარჩევნო ოლქად დაიყოს და ეს დადგენილება ეცნობოს დეპეშით მთავრობას.

◆ ჩრდილოეთის ფრონტის ქართული დელეგატები. ივლისის 10-ს, ჩრდილოეთის ფრონტის ერთ ერთ კორპუსში მყოფ ქართველთაგან, ჩამოვიდნენ დელეგატები: ექ. მიხ. იმხნელი, ჯარის კაცები ვასილ ხარებაშვილი და ივლიანე თოფურია. დელეგატებს დავალებული აქვთ: 1. მოელაპარაკონ ქართველ სამხედრო კავშირის გამგეობას სრულიად საქართველოს ქართველთა ჯარისკაცთა დელეგატების ყრილობის მოწვევის შესახებ ქ. თბილისში არა უგვიანეს მარიამობისთვის 1-სა 2. ქართ. სამხ. კავშირის გამგეობას უნდა წარუდგინოს კორპუსის ქართველთა შემუშავებული საერთო ყრილობის დღის წეს-რიგი. 3. დელეგატებს ევალებათ ქართ. სამხ. კავში ან სხვაგან სადმე ოფიციალ მსჯელობა—კამათში დაიცვან საქართველოს ეროვნულ ტერიტორიული ფართე ავტონომია.

◆ ქართველ ოფიცერთა და ჯარის-კაცთა კრება. ხუთი ივნისს პირველ კავკასიის მსროლელ-არტილერიის დივიზიონის ქართველ-სამხედრო პირებმა გამართეს პირველი კრება. კრებას დაესწრო ოთხი ოფიცერი, ექიმი და ხუთასამდე ჯარისკაცი კრების თავმჯდომარედ ამორჩეულ იქმნა კაპიტანი იმხნელი, თანაშემწედ ჯარისკაცი ჩხიკვიშვილი, მდივნად ექიმი შანიძე.

16 ივნისს მოხდა მეორე კრება, რომელმაც საბოლოოდ დაადგინა: 1) ქართველების კრება გაიმართოს თვეში არა ნაკლებ ორისა. 2) გაიგზავნოს საქართველოს ქალაქებში: ტფილისში, ქუთაისში, ბათომი, ფოთში, გორში და სხვაგან სამი დელეგატი: ექიმი შანიძე, ჯარის კაცებში ნასარიძე და მაისურაძე, რისთვისაც უკვე შეაგროვეს თანხა 536 მან. 30 კაპ. ამ პირთ ევალებათ დაესწრნენ ყველა პარტიების კრებას, გაიცნონ მათი წარმომადგენლები; შეიძინონ სხვადასხვა წიგნაკები დღევანდელ წესწყობილებაზე და სა-

კითხებზე. დასტოვენ ყველა ორგანიზაციებში თავიანთი მისამართი, გამოიწერონ. სამი თვის ვადით შემდეგი გაზეთები: ტფილისიდან — „ერთობა“, „ალიონი“ „საქართველო“ და „სახალხო ფურცელი„. ქუთაისიდანაც ორი გაზეთი. ამასთან ერთად კრებამ გამოიტანა რეზოლუცია ზავი უანექსიო და უკონტრიბუციო.

— მიწების გასყიდვ. გადასახადების მოსპობა. ამიერ-კავკასიის საგან. კომიტეტმა სასურველად სცნო განახორციელოს სამიწო კომისიის დებულება მიწის გასყიდვის გადასახადების მოსპობის შესახებ. ამის გამო დაადგინა დროებით მთავრობის წინაშე საჩქაროდ იშუამდგომლოს

— ქალაქის არჩევნები. ქალაქის მოურავის მიერ შეკრებილ ცნობების მიხედვით, საქალაქო არჩევნებში მონაწილეობის მიღება შეუძლიან 125000 მცხოვრებს და 29,000 ჯარის კაცს. უკანასკნელთა შორის არჩევნების დროს თბილისში იქნება და არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს 20 ათასამდე კაცი. სხვა და სხვა პარტიები და ჯგუფები ყოველივე ღონეს ხმარობენ, რომ მათი მომხრეები და თანამოაზრენი მკათათვის 30-ს არჩევნების დღეს, უთუოდ დარჩნენ თბილისში.

ქ. ბათომი.

— კვირას, 2 ივლისს საზოგადო საკრებულოს დარბაზში თევდორე ღლონტმა წაიკითხა ლექცია „ფედერალიზმი და სეპარატიზმი“. ლექციის შემდეგ გაიმართა კამათი მოკამათეთ გამოვიდა ეროვნულ-დემოკრატი ილ. ჟღენტი.

სამშაბათს, 4 ივლისს, ქალთა გიმნაზიის დარბაზში ილარიონ ჟღენტმა წაიკითხა მოხსენება რუსულ და ქართულ ენაზე „რუსეთის რევოლუციის მიმდინარეობა და ჩაგრულ ერთა საკითხი“, რუსულ მოხსენების შემდეგ მოკამათეთ გამოვიდა ორი სოც.-დემოკრატი, ამ კამათში მონაწილეობა მიიღეს კიდევ აკ. ფალავამ და ს. მდივანმა, რომლებმაც გაილაშქრეს სოც. დემოკრატ მოკამათეების წინაალმდეგ. მომხსენებელმა ილ. ჟღენტმა მოკამათეებს შესაფერისი პასუხი გასცა. ქართულ მოხსენების შემდეგ მოკამათეთ გამოვიდა ს. ფედერალისტი ს. მდივანი, რომელსაც ბ. ჟღენტმა პასუხი გასცა, რისთვისაც ის მრავალი დამსწრე საზოგადოებისგან მხურვალე ტაშის კვრით იქნა დაჯილდოვებული. თავმჯდომარე დავ. კლდიაშვილი.

— ოთხშაბათს 5 ივლისს, ქართველთა და უკრაინელთა კავშირის კომიტეტის წევრი ილარიონ ჟღენტი მიიწვია კრებაზე უკრაინელებმა და ესტონელებმა. იქ მან წაიკითხა მოხსენება „ჩაგრულ ერთა კავშირზე“ მომხსენებელს ჩაგრულ ერის შვილები მხურვალე ტაშის ცემით შეხვდენ, და იქვე შეიკრა კავშირი.

— ოთხშაბათს, 5 ივლისს, საზოგადო საკრებულოს დარბაზში აკაკი ფალავამ წაიკითხა ლექცია „ვინ არიან და რა უნდათ სოც.-ფედერალისტებს“. ლექცია უფრო საგიტაციო სიტყვა იყო, ვინემ დასაბუთებული ლექცია. მოკამათეებათ გამოვიდნენ ეროვნულ-დემოკრატების მხრით ია ეკალაძე და ილ. ჟღენტი, სოც. დემოკრატების მხრით მ. ჯიბლაძე თავმჯდომარეობდა დავით კლდიაშვილი.

კ - ე.

ქ. ფოთი.

— შაბათს, 8 ივლისს, შალვა ნუცუბიძემ წაიკითხა ლექცია ,,რევოლუცია და ეროვნული საკითხი'' მოკამათეებად გამოვიდნენ ეროვნულ-დემოკრატები და სოციალ დემოკრატები. *)

— კვირას, 9 ივლისს, შალვა ნუცუბიძემ წაიკითხა ლექცია ,,ორი გზა'' სოციალიზმისაკენ.

— უკვე გამოქვეყნდა ქალაქის ხმოსნების ამრჩეველთა სია. ყველა მიმართულებები დიდ სამზადისშია.

— სამშაბათს 11 ივლისს, სადგურზე საღამოს კინაღამ უბედურება დატრიალდა. საღამოს 6 საათზე სადგურზე მოვიდა 100-ზე მეტი ჯარის კაცი, რომლებმაც დაიკავეს მთელი ვაგონი. ისინი მიდიოდნენ სახლში ნება დაურთველად. სადგურის კომენდანტმა ყოველივე ღონისძიება მიიღო სიტყვით და საქმით, რათა ისინი დაბრუნებულიყვნენ. მაგრამ მათზე არაფერი არ მოქმედებდა. ,,დაივიხოცებით და აქედან ვერავინ ჩამოგვიყვანსო'', გაიძახოდენ ისინი. ქალაქიდან გამოიწვიეს მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოს წევრები, მაგრამ იმასაც არა გაუვიდათ რა. ჯარ. აფიცერმა მიმართა მათ, რომ თუ ისინი არ დანებდებიან. იძულებული იქნებიან, ესროლონ. ამ განცხადებამ უფრო გაარისხა ჯარისკაცები. წამსვლელს ხალხს წინადადება მისცეს შესულიყო ვაგონებში, დანარჩენები კი გასცლოდენ სადგურს. და ის იყო უბედურება უნდა დატრიალებულიყო, რომ ამ დროს ერთი დამსწრეთაგანი არ ჩარეულიყო საქმეში. მან გრძნობიერი სიტყვით მიმართა ჯარისკაცებს და მოუწოდა არ დაეღვარათ ტყუილ უბრალოთ სისხლი. ჯარის კაცები ალტაცებით შეხვდენ მის სიტყვას და დასტოვეს მატარებელი. მატარებელმა ამის გამო დაიგვიანა ერთი საათით.

დ. ახა—სენაკი.

— ორშაბათს, 10 ივლისს, ეროვნულ-დემოკრატთა სალექციო დარბაზში ილარიონ ჟღენტმა წაიკითხა მოხსენება ,,რუსეთის რევოლუციის მიმდინარეობა დღეს და ჩაგრულ ერთა საკითხი'' მოხსენების შემდეგ თავმჯდომარემ მიმართა დამსწრეთ ვისაც სურს, გამოკამათებოდა მოკამათე არავინ აღმოჩნდა. დასასრულ მომხსენებელმა გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა. ხალხი მრავალი დაესწრო.

ს—ნ.

პროვინცია.

სოფ. საწაბლე. (ზემო იმერეთი) აქ დაარსდა მომხმარებელი საზოგადოება „იმედი“.

სოფ. მაჭარულა. (შროშის საზ.) აქ გაიხსნა მომხმარებელი საზ. „ცხოვრების წყარო“.

წადგერი. მოაგარაკეთათვის წელს აქ მეტად ცუდი პირობებია, სანოვაგე სრულებით აღარ იშოვება. გირვანქა ქლიავი 50 კაპ. იყიდება. ამასთანავე გავრცელდა ერთგვარი ავადმყოფობა, რომელსაც „ბალდინჯის ეპიდემიას უწოდებენ. აგარაკის მომწყობმა კომიტეტმა საქმე ვერ მოაგვარა. სანოვაგეზე დადებულ ნიხრს ძალა არა აქვს.

დ. ზესტაფონში დღეს, მკათათვის 12-ს დანიშნულია ვაჭარ-მრეწველთა და სახელოსნოთა პატრონების კრება კავშირის დასაარსებლად.

დ. ზესტაფონში ამ მოკლე ხანში გაიმართება დიდი სალიტერატურო საღამო-მეჯლისი.

ომი.

ომის მსვლელობა რევოლუციის თვის საშიშ პერსპექტივად წარმოსდგა. ივნისის 18-ს დაწყებული შეტევა რუსეთის თავისუფლებისათვის საბედის წერო ნაბიჯათ იქცა. ჩვენ უკვე ავღნიშნეთ, რომ დღევანდელ არევ-დარევის პირობებში რუსეთის მთავარ სარდლობის მიერ შეტევის დაწყება ვერ იყო მიზან შეწონილი და მდგომარეობასთან შეფარდებული. დღეს რუსეთის ჯარმა ბრძოლის ველზე სრული ანარქიული მიდრეკილება გამოამჟღავნა. სურსათითა და იარაღით უზრუნველყოფილი რუსეთის ლაშქარი მოწინააღმდეგეს ზურგს აბრუნებს დისციპლინა ჯარში სრულიად მოისპო მოწინააღმდეგე იმპერია კი ძლევა მოსილებით წინ მოდის და რუსეთის რევოლუციის დედას პეტროგრადს ემუქრება. გერმანეთის მთავარ სარდლობამ რამდენიმე ადგილას გაარღვია რუსეთის ჯარის ხაზი და მძაფრ შემოტევას აწარმოებს, რუსეთის ლაშქარმა სიმამაცის სახელწოდება შეღახა. ლაშქრის საერთო დემორალიზაცია სინამდვილედ იქცა. რუსეთის შტაბი გამწარებით აღნიშნავს, რომ რესპუბლიკურ ჯარის უკან დახევით მოპოებულ თავისუფლებას დაღუპვა მოელის. რუსის ჯარმა უბრძოლველად მიატოვა გალიციაში, მდ. ლომნიცის ნაპირის პოზიციები და თითქოს ეჩქარებათ უკან გამორბის და გერმანელების მაგიერ, რუსეთისავე უიარაღო სოფლებს აწიოკებს მდგომარეობა ერთობ სერიოზული შეიქმნა და სახიფათო. ვნახოთ როგორ და რა სახით იმოქმედებს გზა-გახსნილი ჰინდენბურგის ჯარი და რანაირის ზომებით მოინდომებს რუსეთის სამთავარსარდლო ჯარისკაცთა ბრბოს დისციპლინურ არმიად ქცევას და დაღუპულ საქმის გამოსწორებას.

ჯიბ.

ადგილობრივი რეფორმა კავკასიაში.

(ევანგულოვის წერილი)

გარეშე საქმეთა სამინისტროს სხდომის მეორე ყრილობა კავკასიის ადგილობრივ თვითმართველობის შესახებ- დასრულებულად უნდა ჩაითვალოს.

უწყებაზედ იყო კითხვა- „საჭიროა თუ არა რეფორმა არსებულ ადმინისტრატიულ საზღვრებში, თუ საჭიროა წინასწარ საზღვრის დადება?“ დღევანდელ გუბერნიების მიუღებლობას ყრილობაზედ უთანხმოება არ გამოუწვევია· კამათობდნენ მხოლოდ თუ როგორ მოჰხდეს გადაყოფა. ზოგიერთების აზრით იგი უნდა მოჰხდეს ადგილობრივ დაწესებულებათა და ორგანიზაციების მიერ, იმ პირთა და ჯგუფებისაგან, რომელნიც დაინტერესებულან „სტატუს ქვო“-ს შენახვით, რომ საჭიროა საქმის პეტროგრადში, ცენტრში -გადაწყვეტა და „უმაღლესი არბიტრი“, რომელიც გაარკვევდა ყველა ერების მოთხოვნილებებს. სხდომის დანარჩენი წევრები „ზოგ ჯგუფთა“ გადაწყვეტილებას დასცინოდნენ. მათ შეუძლებლად სცნეს პროექტის წაყენება შინა საქმეთა სამინისტროში და მოითხოვდნენ საქმის გადაცემას ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტისთვის.

როგორც მოსალოდნელი იყო გაიმარჯვა შუა მიმდინარეობამ. სხდომამ დაადგინა, თვითვე შეადგინოს კავკასიის ახალ გუბერნიებად დაყოფის პროექტი და გაეგზავნოს გამიჯნულ დაინტერესებულ რაიონების მცხოვრებთ. შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელნი თავის მხრით ვალდებულ იყვნენ შეემუშავებინათ ინსტრუქციის პროექტი ადგილობრივ შეთანხმებითი კომისიებისთვის მსგავსად იმ წეს-რიგისა, რამაც ბრწყინვალე შედეგები მოგვცა ძალესიის იქითა მხარის გადაყოფამ. გადაწყვეტილია, საგუბერნიო გარდაქმნის პროექტი შეთანხმებითი კომისიების ინსტრუქციასთან ერთად გაეგზავნოს ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტს—მუშაობის ნაწილის დასრულების შემდეგ. სანამ გადაყოფას განიხილავდნენ ადგილობრივ—სხდომა განაგრძნობს ადგილობრივ რეფორმის შემუშავებას სხვა ნაწილებში.

რევოლუციის ამბები.

პ. დ. ს.

დეპეშები.

ა. კერენსკის ბრძანება ჯარს და ფლოტს.

პეტროგრადი. ივლისის 8 იმ ცნობების მიხედვით, რომელიც მე სამხრეთ-დასავლეთის ასპარეზზე მომხდარ სამწუხარო ამბების შესახებ მივიღე, მოვალედ ვსთვლი ჩემს თავს კვლავ აღვნიშნო ჯარის უფროსთა და აფიცერთა კვლავინდებური სიმამაცე, რაც მათი თავისუფლებისა და რევოლუციისადმი ერთგულების და სამშობლოსადმი უზომო სიყვარულის მაჩვენებელია. გიბრძანებთ აღადგინოთ ჯარში დისციპლინა, და ამისათვის რევოლუციურ სისასტიკესაც მიმართოთ; ჯარის გადასარჩენად იარაღიც იხმარეთ და არაფერს დაერიდოთ. საჭიროა ჯარიდან დაუყოვნებლივ განიდევნოს ის ბოროტი ელემენტები, რომელიც ბეჭვდითი თუ ზეპირი სიტყვით უქადაგებს ჯარს ურჩობასა და იმ ბრძანებათა შეუსრულებლობას, რომელიც საბრძოლველად მოუწოდებს. თანახმად დროებით მთავრობის ივლისის 6-ის ბრძანებისა ყოველი აფიცერი, ჯარის კაცი და სხვა, ვინც ჯარის არსებულ დემოკრატიულ წესწყობილების დროს ჯარს მოუწოდებს, რათა არ შეასრულონ კანონები და ბრძანებანი, — სამართალში იქნებიან მიცემულნი, როგორც სახელმწიფოს მოღალატენი. ჯარისა და ფლოტის ყოველ უფროსს და შეგნებულ ელემენტებს მოვუწოდებ მტკიცედ შეერთდნენ მტრის წინააღმდეგ და იმ მოღალატეებთან საბრძოლველად რომელთაც ჯარი დამარცხებისაკენ მიჰყავთ, ხოლო ქვეყანა სირცხვილისაკენ.

,,თავისუფლების სესხი'' დამფუძნებელ კრებამდე გაგრძელდება.

პეტროგრადი. ივლისის 9. დროებითი მთავრობისაგან. ,,თავისუფლების სესხზე'' ხელის მოწერა უკვე (2?) მილიარდს აღემატება და ამნაირად ყველა წინანდელ სამხედრო სესხებს გადააჭარბა. 1916 წლის პირველმა სესხმა 1 ნახ. მილიარდი მანეთი შეკრიბა, იმავე წლის მეორე სესხმა კი 1,6 მილიარდი მანეთი). ამიტომ გადაწყვეტილია თავისუფლების სესხზე ხელის მოწერა დამფუძნებელ კრებამდე გაგრძელდეს.

მ. ჯ. და გ. საბჭოების მოწოდება·

პეტროგრადი. ივლისის 10. მუშათა ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოების გაერთიანებულ სხდომაზე მიღებულ იქნა შემდეგი მოწოდება მთელი რუსეთის ხალხს: მოქალაქენო! საშიშმა საათმა დაჰკრა. რევოლუციურ რუსეთის ფრონტი გარღვეულია. რესპუბლიკური ჯარი უწესრიგოდ გამორბის.

კიდევ ახალი ოლქების წართმევას გვიქადის მტერი. დაჰკრა საბედისწერო ჟამმა, სატახტო ქალაქში რევოლუციურ მთავრობას, მთელი რუსეთის დემოკრატიის ნების ყოფის წინააღმდეგ უგნურებმა და თვალაკრულება იარაღით შეეხენ. რღვევა და ანარქია მეფდება რუსეთში. ბნელმა ძალებმა თავი წამოჰყვეს. მათ დავლის შოვნის იმედი გაეღვიძათ. თქვენს დასამონებლად ემზადებიან. კვლავ სჯიჯგნიან მრავალ ტანჯულ სამშობლოს. რევოლუციურ დემოკრატიის ორგანოებსა და დროებით მთავრობას ძირს უთხრიან. უგნურ მასსას ებრაელების დასარბევად აქეზებენ. ბნელი ძალები რევოლუციის მცველების სახელით მასას ძალადობასა, დარბევასა და თვით გასამართლებისაკენ მოუწოდებენ. თქვენ წესიერებას გპირდებიან, ნამდვილად კი ოცნებობენ სამხედრო დიქტატურასა და იმ სამარცხვინო ძველი წესწყობილების დამყარებაზე, რომლის საშინელებაც კარგად გეხსომებათ. მოქალაქენო, თუ ამ გზას დავადექით, იმაზე ცუდი მონობა მოგელისო, რომელიც უკვე მოიშორეთ; კიდევ დაიღვრება სისხლი და ციხე-კატორღები კვლავ გაივსება. მრეწველობა შედგება, მოუსავლობა და შიმშილი იქნება სოფლის ბედი. სწავლა-განათლება ჩაქრება. ყოველივე თავისუფლება მოისპობა. ყოველი ეროვნება და ოლქი თვითმართველობის იმედს, სამუდამოდ დაჰკარგავს. ვისაც უყვარს სამშობლო და თავისუფლება უნდა დაიცვას კიდეც ის გარეშე მტრისაგან. ცენტრალ აღმასრულებელმა კომიტეტმა რევოლუციურ მთავრობას დიდი უფლებები მიაკუთვნა. დეე, ულმობელის ხელით ჩააქროს მთავრობამ ანარქიული გამოსვლები და წესრიგი და დისციპლინა დაამყაროს ჯარში. იგი იხმარს ყოველ საშუალებას. ყოველი ჩვენგანი უნდა დაეხმაროს მას, რითაც კი შეუძლია. და გულცივობა შეუწყნარებელია. საჭიროა მუშა ხელები, რომელიც თავის მოვალეობას არ შეასრულებს და გაჭირვებულ დროს ძველი რეჟიმის აღდგენას ელდება, ის რევოლუციისა და სამშობლოს მოღალატეა. შემოკრბით რევ. დემოკრატიის ორგანოთა გარშემო. მხარი დაუჭირეთ დროებით მთავრობას. მოახმარეთ მას მთელი თქვენი ძალა და საშუალება. სამშობლოს საფრთხე მოელის. დეე ყოველი ადამიანი ღირსი უნდა გახდეს მოქალაქის სახელის ტარებისა. მოქალაქენო! მოგიწოდებთ ამ საშიშ მომენტში რევოლუციას გაუფრთხილდით...

საეკლესიო ყრილობის მოწვევა.

პეტროგრადი. ივლისის 10. უწმინდესმა სინოდმა დაადგინა ღვთისმშობლის მიძინების დღეს 1917 წ. აგვისტოს 15 ქალაქ მოსკოვში მოწვეული იქნეს სრულიად რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიის ყრილობა, რომლის წესდებაც დროებით მთავრობის უწყებებში დაიბეჭდება:

შრომის მინისტრი ბრძოლის ველზე.

პეტროგრადი. ივლისის 9. ბრძოლის ველზე ჩამოსვლისთანავე შრომის მინისტრმა მიიღო არმიის მთავარსარდალი, შტაბის უფროსი, კომისარი სიდოროვი და საარმიო კომიტეტების წევრები. მინისტრს მოახსენეს, რომ ჯარის უმეტესი ნაწილი ბრძოლისათვის მზადაა. დისციპლინის აღდგენა ჯარში კარგად სწარმოებს; მათი სიტყვით მხოლოდ რამდენიმე პოლკი ამბობს უარს ბრძოლაში გასვლაზე. სკობელევმა ჯარს შემდეგი მოწოდებით მიმართა:

ამხანაგო ჯარისკაცებო! დროებითმა მთავრობამ მუშ., ჯარს კ. და გლეხთა საბჭოებთან ერთად პეტროგრადში ამბოხება ჩააქრო. ვინც რევოლუციურ ხალხის სურვილს პატივს არა სცემს, ის თავისი საქციელით ვილჰელმის აგენტებს ემგვანება. ამხანაგებო!

მტკიცედ, წყნარად შეასრულეთ ბრძოლის ბრძანებანი და წინ გასწიეთ: ვინც თქვენ არ გამოგყვება, ის რევოლუციის მტერია. უარის მთქმელი პოლკი თქვენი აღარ არის, ის თქვენი მტერი, გერმანეთის იმპერატორის საქმის გამკეთებელია. გასწით წინ და ასეთი პოლკები რევოლუციურ რუსეთის დასაცავათ და მის ბედნიერებისთვის თქვენს რევოლუციურ გზაზე [illegible] იმათ, ვინც ყოყმანობს, თამამად უთხარით: ან ჩვენთან — რევოლუციასთან დარჩით ან და უღალატეთ ხალხის საქმეს. ამხანაგებო! წითელი დროშებით და იარაღით ხელში ხალხს თავისუფლება მოუპოვეთ და განამტკიცეთ. რევოლუციის ბედი თქვენს ხელშია. მიწისა და თავისუფლებისთვის წინ! შრომის მინისტრმა, მდივანის ზილბურგისა და კომისარის სიდოროვის თანხლებით, მომქმედ სამხედრო ნაწილებს დაუარა და მოუწოდებდა თავისი რევოლუციური მოვალეობა შეესრულებინათ. სამივენი რამდენჯერმე მტრის ცეცხლის ქვეშ იმყოფებოდნენ.

ბოლშევიკების დატუსაღება.

პეტროგრადი. ივლისის 10. დაატუსაღეს და ციხე „კრესტი“-ში გაგზავნეს ბოლშევიკი კამენევი. ჩვენების მოცემაზე მან უარი განაცხადა. კვირას საღამოთი „ლუნა პარკში“ დაატუსაღეს „ოკოპნაია პრავდა“-ს რედაქტორი, ხაუსტოვი. ის დაატუსაღა ინვალიდ აფიცერთა ერთმა ჯგუფმა ხალხმა გაიგო თუ არა ეს, იქვე მოინდომა მისი დასჯა, მაგრამ აფიცრებმა გადაარჩინეს.

კრონშტადტელთა მორჩილება.

პეტროგრადი. ივლისის 10. კრონშტადტში საბჭოების აღმ. კომ. დელეგატებმა პირადათ საზღვაო მინისტრის ამხ. დუდაროვს განუცხადეს, რომ ისინი კერენსკის საულტიმატუმო ბრძანებას, ასრულებენ და მე-71 სასლვაო რაზმის კრონშტადტის ჯარისა და მუშების დადგენილება გადასცეს, რომელშიც ისინი სრულ მორჩილებას უცხადებენ დროებით მთავრობას. დელეგატების თქმით, იმათ საბჭოების აღმ. კომიტეტს სთხოვეს, დაენიშნათ გამომძიებელი კომისია, რადგანაც ისინი თვით ვერ გასცემენ მეთაურებს, რადგანაც მათის სიტყვით მთავარი დანაშაული პირველ სატყვიისმფრქვეველო პოლკის დელეგატებს ედებათ ბრალათ.

ივლისის 3—5 ამბოხების გამოძიება.

პეტროგრადი. ივლისის 10. ივლისის 3 და 5 ამბოხებაში სამხედრო ერთეულების მონაწილეობის გამოსაძიებლად დრ. მთავრობამ დაადგინა დანიშნოს საგანგებო გამომძიებელი კომისია, რომელშიაც შევლენ ერთი იურისტი, პეტროგრადის სასამოსამართლო პალატის პროკურორის მიერ დანიშნული, ერთი სამხედრო იურისტი და ერთიც ჯარისკაცი იურისტი, პეტრ. სამხედრო ოლქის პროკურორის მიერ დანიშნულნი, 2 წარმომადგ. გლეხთა ცენტრ. საბჭოს აღმ. კომიტეტისა, 2 მუშათა საბჭოს აღმ. კომ. 2 ჯარისკაცთა საბჭოს აღმ. კომ. 1 წარმომად. ბრძოლის ველიდან მოსულ ჯარებისა. კომისიას ნება ეძლევა მოიწვიოს იურიდიულ ცოდნით აღჭურვილი საჭირო პირნი. გამოძიებას ეს კომისია პეტროგრადის სამოსამართლო პალატის ხელმძღვანელობით აწარმოებს.

გლეხთა ცენტრალ კომიტეტის მოწოდება.

პეტროგრადი. ივლისის 10. რევოლუცია და რუსეთი საფრთხეშია. პეტროგრადის ქუჩებზე შეიარაღებული ბრბო ქალებსა და ბავშვებს ხოცავდნენ. რევ. ორგანოების წევრებს იარაღით შეეხნენ. ამავე დროს გერმანელთა ჯარმა ფრონტი გაარღვია. რუსის ჯარს დაავიწყდა მოვალეობა სამშობლოსა და თავისუფლების წინაშე და დაუდგომლად გამორბის უკან სამარცხვინოდ. ხალხი წყევა-კრულვით შეხვდება მათ. ამ ხანად დრ. მთავრობას დიდი ძალაუფლება აქვს მინიჭებული და ყოველ გამოსვლას შეუბრალებლად ჩააქრობს. დრ. მთავრობა ცხოვრების ხელახლად აშენებას შეუდგა და ხალხს დამფუძ. კრებამდის მიიყვანს. თავისუფლების მტრები ეცდებიან ფრონტის გარღვევას და პეტროგრადის ამბებს თავის სასარგებლოდ გამოიყენებენ. ჩარჩები, მემამულენი და მსხვილი მესაკუთრენი თქვენ გეტყვიან, რომ თავისუფლება უბედურებაა ქვეყნისთვის. მოგიწოდებენ თქვენ მთავრობისადმი ურჩობისაკენ, ებრაელთა დარბევას გირჩევენ, ჯარზე და მუშებზე მიგისევენ. მათ ნუ დაუჯერებთ, მათ უნდათ ძველი რეჟიმის დამყარება. განამტკიცეთ თავისუფლება, გაუგზავნეთ ჯარს პური. თუ ქვეყანა არ გადაარჩინეთ მიწას და თავისუფლებას ვერ მიიღებთ. შეიძლება ბევრი სისხლი დაიღვა-

---

*) გაზეთ ,,ჩვენი მეგობრის'' საპასუხო წერილი ამ ლექციის გამო ამ დღეებში მოთავსდება. რედ.

რის კიდევ თავისუფლებისათვის. ვახსოვდეს, რომ ამ ბრძოლებში იქნება ახალი დიდი თავისუფალი რუსეთი.

გლეხთა საბჭოს დადგენილება.

პეტროგრადი. ივლისის 10 სრულ. რუსეთის გლეხთა საბჭოს ცენტრალ კომიტეტის სხდომაზე მინისტ. წერეთელმა სამინისტროში მომხდარ ცვლილებათა შესახებ მოხსენება გააკეთა დიდი კამათის შემდეგ სხდომამ მენშევიკებისა და ერების მიერ წარდგენილი შემდეგი რეზოლუცია მიიღო: გლეხთა საბჭოს ცენტრალ აღმასრულებელი კომიტეტი სცნობს რომ მდგომარეობა საშიშია, და მოსალოდნელია ბრძოლის ველზე დამარცხება, ანარქიასა და კონტრრევოლუციის გამარჯვება დაადგენს: 1) სახელმწიფოსა და რევოლუციას საფრთხე მოელის; 2) დრ. მთავრობას რევოლუციის დამცველ მთავრობად აცხადებს; 3) მას მიკუთნებული აქვს განუსაზღვრელი უფლებანი ორგანიზაციისა და დისციპლინის აღსადგენათ ჯარში, ანარქიულ გამოსვლების მოსასპობად და დასახულ პროგრამის ცხოვრებაში გასატარებლად; 4) ყოველ თავის მოქმედებაზე მინისტრმა სოციალისტებმა მოხსენება უნდა გაუკეთონ შეერთებულ სხდომას. რეზოლუცია ყველა სოციალისტებმა მიიღეს გარდა თავ შეკავებულ 47 ბოლშევიკისა.

კერენსკის დაბრუნება.

პეტროგრადი. ივლისის 10. ვიტებსკიდან ცარსკო-სელსკის სადგურზე ჩამოვიდა სამხედრო და საზღვაო მინისტრი კერენსკი.

ფინეთის მუშები და მეზღვაურნი.

პეტროგრადი. ივლისის 10. ფინეთის მუშათა, ფლოტზე მსახურთა და ჯარის წარმომადგენელთა საოლქო კომიტეტებმა სცნეს, რომ მდგომარეობა საშიშია და რეზოლუცია გამოიტანა: მიუხედავად საბჭოების აღკრძალვის, პეტროგ. ქუჩებში გამოსულთა საქციელი დანაშაულია რევოლუციის წინაშე; ეხლა უფრო ვიდრე სხვა დროს საჭიროა ერთობა რევოლ. ორგანოების გარშემო. რეზოლუცია მიიღეს 350 ხმით წინააღმდეგ 280 ბოლშევიკისა.

ბრძანება.

პეტროგრადი. ივლისის 10 ზოგიერთ სამხედრო დაწესებულებაში იმ შეხედულებისანი არიან, რომ მაღალ თანამდებობაზე ახალ პირთა დანიშვნა კომიტეტების თანხმობით უნდა ხდებოდეს, რის გამოც თანამდებობათა შევსება ბრკოლდება. ბრძანება აღნიშნავს, რომ კომიტეტების ასეთი მიმართულება ჯარში დემოკრატიულ საფუძველთა გამტკიცებას ხელს უშლის. ბრძანების მიხედვით არავითარ ასეთ ჩარევას საქმეში ადგილი არ უნდა ჰქონდეს. ბრძანება შეუწყნარებლათ სცნობს სამხ. დაწესებულებებში მუშაობის დროს შემოკლებას. წინადადებას აძლევს ცენტრალ დაწესებულებებში მუშაობა 10—18 საათამდე სწარმოებდეს, შაბათობით 4 საათით ადრე თავდებოდეს, ხოლო კვირაობით დაწესებულ იქმნას მორიგეობა.

რუს. ფლოტის ცენტ. კომიტეტს მოწოდება.

პეტროგრადი. ივლისის 10 მდგომარეობა საშიშია, ყველა რევოლუციურ ორგანოების გარშემო უნდა შემოკრბეს. გთხოვთ დაივიწყოთ პირადი პარტიულ ანგარიშების გასწორება. ამხანაგებო ერთის მხრიდან გარეშე მტერი: მომდგარი, მეორიდან კონტრრევოლუციონერები, მარჯვნიდან და მარცხნიდან კიდევ გერმანელთა აგენტები, რომელნიც ისარგებლებენ ჩვენს დაქსაქსულობით თავისუფლებას დაგვაშორებენ. საჭიროა მტკიცე მთავრობა. რუსეთის ფლოტის ცენტრალი კომიტეტი, სხვა საბჭოებთან და დრ. მთავრობასთან ერთად მხარს დაუჭერს საზღვაო მინისტრის ბრძანებებს. ამხანაგებო! გვწამს თქვენი სამშობლოსადმი ერთგულება. რევოლუციას ყოფნა—არ ყოფნის კითხვა დაესვა. თავმჯდომარე აბრამოვი მდივანი კებროვი.

უცხოეთი.

ზ. დ. ს.

დეპეშები

გერმანეთის საიმპერიო თათბირი

სტოკჰოლმი. ივლისის 8. ბერლინიდან იტყობინებიან: რეიხსტაგის პარტიათა ლიდერების იმპერატორთანდა საიმპერიო საბჭოს წევრებთან გუშინდელ თათბირს სხვადასხვა პარტიის 24 წარმომადგენელი დაესწრო. არ დასწრებიან დამოუკიდებელი სოციალისტები. სოც.-დემოკრატებისაგან იყვნენ: შეიდემანი, ევერტი, დავიდი მოლკენბური ლაზიუდეკუმი. „ლოკალ ანცგაგერი“-ს ცნობით თათბირის მთავარი საგანი წყალქვეშ ომის კითხვის განხილვა იყო.

მექსიკა

ნიუიორკი. ივლისის 8. სახელმწ. დეპარტამენტის ცნობით მექსიკის მთავრობის შეკითხვის საპასუხოდ საბჭო შემდეგს აქვეყნებს: მთავრობამ ნება დართო მექსიკას ამერიკიდან გაზიდოს 2 700000 გირვანქა საომარი იარაღი, რომელიც მექსიკამ იარაღის მოზიდვის აღმკრძალავ კანონის გამოცემამდე შეისყიდა. ჩრდილოეთის შტატების ასეთი ნაბიჯის წყალობით ამერიკა და მოკავშირენი მექსიკის ნავთით უზრუნველყოფილნი იქნებიან.

მსოფლიო ომი

პ. დ. ს.

დეპეშები.

აღმოსავლეთის ასპარეზი.

პეტროგრადი. ივლისის 10. დვინსკის სამხ. დასავ. ორივე მხრივ ზარბაზნების სროლაა. ვილნოს მიმართულებით დაბაკრევოს მიდამოებში და ჩრდილოეთით ჩვენმა ჯარმა მტერზე იერიშები მიიტანა, ცარი-ნავუშის ხაზზე პოზიციები წაართვა და ზოგან სამი ვერსით წინ წაიწია; ტყვეთ წამოვიყვანეთ 1000-ზე მეტი გერმანელი. წარმატების გაფართოვების დროს ჩვენს ჯარში თავი იჩინა ზნეობრივმა სისუსტემ და სიმტკიცის უქონლობამ. ვაჟკაცურად იქცევიან აფიცრები, რომელნიც მრავლად იხოცებიან. სერეტის ზემო მიმართულებით ზალოჟციდან ტარნოპოლამდე სროლაა. ტარნოპოლის სამხრეთით ბერეზოვიცე-ვალკას ხაზზე მტერი ძლიერ საარტილერიო სროლას აწარმოებს. მდ. სერეტსა, სტრიპასა და ზლოტა-ლიპაზე მტერი წინსვლას განაგრძობს და დაიპყრო: ნასტასუკი, ვენიავა, სლავენტი. მოკლულ იქნა დივიზიის შტაბის უფროსი პოდპოლკ. დელდი, რომელიც ჯარს აწყობდა.

რუმინეთის ასპარეზი.

კეზდი-ვაზდარგელმის, ფოკშანისა და ბრაილოვის მიმართულებით საარტილერიო ბრძოლაა.

კავკასიის ასპარეზი.

მდგომარეობა უცვლელია.

დასავლეთის ასპარეზი.

ლონდონი. ივლისის 9. სენკანტენის ჩრდ. აღმ. და ლანსის სამხრეთით ჩვენი პატრულები მარჯვედ მოქმედებდნენ. ბრძოლის ხაზი მონშილეს აღმოსავლეთით გადავწიეთ.

ლონდონი. ივლისის 9. მტრის ესკადრილიამ ყუმბარები ჩამოჰყარა ფჰელიკსონსა და გავრიჩში. საფრენები ზარბაზნებით გავფანტეთ.

პარიზი. ივლისის 9. იურტებიზისა და კრასკის მიდამოებში მთელი დღის განმავლობაში საარტილერიო ბრძოლა ნამეტანის სიმკაცრით სწარმოებდა. ჩვენმა ჯარმა ხელჩართული ბრძოლაში გასაოცარი სიმამაცე გამოიჩინა, მტერი რამდენჯერმე უკან აქცია, კაზემატის ვაკე გორაკზე კი საგრძნობლად დაზარალდა; გერმანელებმა ჩვენს მოწინავე პოზიციებში გამაგრება შესძლეს.

იტალიეთის ასპარეზი.

რომი. ივლისის 9. უშალგსა და ვალპრასთან მტერი საბოლოოდ უკუ ვაქციეთ.

ბალკანეთის ასპარეზი.

პარიზი. ივლისის 9. სჩარავინის ხაზზე მტერი სერბელებს თავს დაესხა, მაგრამ წარმატება ვერა ნახა. ჩვენმა არტილერიამ მტრის ფარგლებში სოკალის დასავლეთით ზარბაზნების სროლით ცეცხლი გააჩინა.

კადეტები და რევოლუცია.

კადეტებს რუსეთის თავისუფლება თავისებურად ესმისთ. ამ პარტიის ჩამოყალიბების დროს, მათ, თვით გამორკვევის უფლება ავტონომიურ ნიადაგზე, მარტო პოლონელებს უწყალობეს და სხვა წვრილი ერები, როგორც მაგალითად უკრაინელები ქართველები ავტონომიის ღირსად არა სცნეს. ასეთმა საქციელმა კადეტებს წვრილი ერების თვალში ნდობა დაუკარგა და ისინი ორ ცეცხლს შუა ჩააგდო. მარჯვნიდანაც დაუწყეს მათ ბრძოლა და მარცხნიდანაც. როგორც ძველი რეჟიმის დროს ვერ გამოიჩინეს კადეტებმა სიბრძნე, ისევე მოუვიდათ განახლებულ რეჟიმშიდაც. რევოლუციის პირველ დღეებში ისინი მარტო მიხეილ რომანოვის რეგენტობაზე ოცნებობდნენ. როდესაც აქ სინამდვილემ მათ სხვა დაანახა, მხოლოდ მაშინ შეიცვალეს ფრონტი და უკიდურეს მემარცხენეებს „გაყვნენ“. თავიდანვე ყველა დარწმუნებული იყო, რომ ასეთი მათი საქციელი იძულებითი იყო და უფრო ჩათრევას გავდა, ვიდრე ჩაყოლას იმპერიალისტური სულის კვეთება ახალ მთავრობაში კადეტებმა მალე გამოამჟღავნეს. მილიუკოვ გუჩკოვებმა ისევ სტამბოლსა და და სრუტეებს და გერმანეთის განადგურებაზე კვლავ ოცნებას შეუდგნენ. ასეთი მათი ოინები განახლებული რუსეთის მესვეურებმა რევოლუციის საზიანოდ დაინახეს და გუჩკოვ-მილიუკოვი სამინისტროდან გაუშვეს.

გუჩკოვ-მილიუკოვის წასვლით დროებით მთავრობაში საქმე მაინც სავსებით არ დაიწმინდა. იქ კიდევ დარჩენ იმისთანა მინისტრები, რომლებიც სოფლის საფეროდ უწოდებენ თავის თავს სახალხო თავისუფლების მიმდევრებს, ამისთანა მინისტრები გახლდათ: შინგარევი, მანუილოვი და ნეკრასოვი. ამ ცრუ თავისუფლების მიმდევრებმა, და მატყუარა მინისტრებმა, გაიგეს თუ არა უკრაინელების ავტონომიის დადასტურება, გულზე ბრაზმორეულები ჯერ პირქვე დაეცნენ და მერე რაც ძალი და ღონე ჰქონდათ მოჰყვნენ ყვირილს: არიქა რუსეთი იღუპება და გვიშველეთო.

პეტროგრადის 3—4 ივლისის გულსშემზარავი ამბები სხვათა შორის ამ იმპერიალისტ მინისტრების ბრალიც არის. ყველა ამის შემდეგ რა გვმართებს ჩვენ ქართველებს, ნუ თუ ჩვენ თვინიერ დიდებული რუსეთის რევოლუციისა სხვისი ვისიმე იმედი უნდა გვქონდეს? არა და არა, ერთად ერთი ხსნა ჩვენი და ჩვენისთანა სხვა წვრილი ერებისა ამ საკაცობრიო განმათავისუფლებელ რევოლუციაზე ირის დამოკიდებული. ვისაც თავისუფლება უნდა და თავის ერი უყვარს, იმან რუსეთის რევოლუცია უნდა შეიყვაროს და მისთვის იბრძოლოს. რევოლუციის გამარჯვებამ ერთა განთავისუფლების იდეა რეალ ფაქტად უნდა აქციოს.

მ. ქუთათელი.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.

ს. თერჯოლა (შორაპნ. მაზ). 7 ივლისს ამ სოფელში დაარსდა ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის პოლიტიკური კლუბი, რომლის წევრთა რიცხვი დღითი დღე მატულობს. კომიტეტში არჩეულ იქმნა ექვსი კაცი და ორი ქალი. ცუცა ჯანელიძე, მარო მაკარიძე, ალექსანდრე გურგენიძე, ბესარ. ქოჩიაშვილი, გიორგი ერისთავი, არსენ დგებუაძე, გრიგოლ მხეიძე, გიორ. მხეიძე.

კომიტეტის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ალ. გურგენიძე, მდივნათ მ. ერისთავი და მოლარეთ გრ. მხეიძე.

კომიტეტმა მოაწესრიგა პარტიის ბიუროში გაზეთების აგენტურის საქმე, და გამოწერილ იქმნა გაზეთები. გაზეთების გამომწერთ კომიტეტი დიდ მადლობას უძღვნის.

ნეტუა.

ს. საქარა (შორაპნის მაზრა) ს. საქარაში კვირას მკათათვის 9-ს გაიმართა ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის თანამოაზრეთა კრება. პირველათ ილაპარაკა სევ. ჰირაქაძემ მან გაარკვია, თუ როგორ პოზიციას იცავენ სხვადასხვა სოციალისტური პარტიები მიწის საკითხში და განმარტა აგრეთვე ეროვნულ-დემოკრატების შეხედულება მიწის საკითხზე. გლეხებს მოეწონათ ჩვენი აგრარული პროგრამა, რასაც ყოველივე ჩვენს დებულებას დასტურსა სცემდენ. არ ეპაშნიკათ ფედერალისტების სოციალიზაცია და თითქმის ერთხმათ სთქვეს, რომ ჩვენ მათ ვერ მივემხრობით და ვერ შეურიგებით კერძო საკუთრების მოსპობასო. როდესაც სევ. ჰირაქაძე უმფრო გრცლათ შეეხო ს. დ. მუნიციპალიზაციას და საუკუნო იჯარას. გლეხებმა სთქვეს, არც ესყოფილა ჩვენი მალამოო. შემდეგ ამისა ილაპარაკა კ. ლომთაძემ და განმარტა, თუ რათვართ ეროვნულ დემოკრატები არა ვართ სოციალისტები. შეეხო აგრეთვე იმაზრს რომ მიმართულების მთავარ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენენ გლეხობა, რომელიც 85 პროც. წარმოადგენს საქართველოს მცხოვრებისას. მან შეადარა ქალაქის მუშა და სოფლის გლეხი ერთმანეთს და დაასკვნა რომ მათი ინტერესები ერთმანეთს ეწინააღმდეგებათ, რაც სხვათა შორის გულწრფელათ სთქვა პროლეტარების დამცველმა ორგანომ „ერთობამ“ ამწლის მაისის 25 ნომერში პირველათ სთქვა ორატორმა, საბერძნეთის დიდმა ფილოსოფოსმა გამოსთქვა აზრი სოციალიზმის შესახებო, მაგრამ იგი დღემდის არ განხორციელებულა და არც შემდეგში განხორციელდებაო.

სასიხარულოა, რომ ავტონომიის საკითხს ჩვენი გლეხობა თანდათან იგებს და ურიგდება მას. ხალხი საერთოდ ბლომათ დაესწრო და ნასიამოვნები დაიშალა გამოითქვა სურვილი ორგანიზაციის დაარსებისა, რაც მომავალი კრებისათვის გადიდვა.

ივერიკო.

საგარეო ვაჭრობა რუსეთისა 1917 წელს.

ფინანსების სამინისტრომ საგულისხმო ცნობები გამოაქვეყნა. ცნობები შეეხება 1917 წ. იანვარ-თებერვლის საბაჟო შემოსავალს; ამავე წლის იანვრის 1-დან აპრილის 15-მდე ვაჭრობის ბალანსს, იანვარ-თებერვლის საგარეო ვაჭრობას და იანვარში ვლადივოსტოკიდან უცხო საქონლის შემოტანას.

1917 წლის იანვარ თებერვლის საბაჟო შემოსავალი 1916 წელთან შედარებით 42,0 პროც. მეტია. 1914 წ. შედარებით კი—მხოლოდ 27,4 პროც. მთავრობისა და ზოგიერთა საზოგადო დაწესებულებათაგან, ამ წლის იანვარ თებერვალში წინასწარ-ბაჟის გადაუხდელად გამოშვებულ საქონელზე შემოსავლის ჯამი 49,979 ათასს მანეთს უდრის.

1916 წელთან შედარებით 1917 წ. იანვრის 1, დან აპრილის 15-მდე გატანილი საქონელი 2-ჯერ ნაკლებია, 1914 წელთან შედარებით კი—7 ნახ. ჯერ. 1916 წელთან შედარებით წლევანდელ შემოტანილ საქონელზე 16,9 პროც. მეტი დაიხარჯა; 1914 წელთან შედარებით კი—29, 8 პროც.

მიმდინარე წლის შემოზიდულ საქონლის ფასი გაზიდულს 545,3 მილიონი მანეთით აღემატება, მაშინ როდესაც 1916 წ. 408,0 მილ. მანეთით აღემატებოდა. 1914 წელს კი მხოლოდ—76,8 მილ. მან. 1917 წლის პირველ ორ თვეში სხვა-და-სხვა მხარეს გატანილ საქონლის საერთო ღირებულება ასეა ნაანგარიშები: დიდ ბრიტანეთში გაზიდულ საქონლის ღირებულება--2.023,000 მანეთი. დანიაში —947,000 შვეიცარიაში—577,000 მან. საფრანგეთში—490,000 მანეთი. ნორვეგიაში 306,000 მან. და ფინეთში 19,043,000 მან.

1917 წლის იანვარ თებერვალში შემოუტანია; ინგლისიდან—63,317,000 მანეთის საქონელი, ამერიკის შეერთებულ შტატებიდან—52, 535,000 მანეთისა, საფრანგეთიდან 40.937,000 მ. შვეიცარიიდან- 16.071,000 მან, იაპონიიდან 7, 995,000 მან. ჩინეთიდან 5. 276. 000 მან ნორვეგიიდან 3. 972.000 მან. და ფინეთიდან—19. 265,000 მანეთისა.

1917 წ. იანვარში ვლადივოსტოკიდამ შემოზიდულ საქონლის საერთო ჯამმა 1916 წელთან შედარებით 14,8 პროც. დაიკლო. 1915—1914 წლებთან შედარებით კი საგრძნობლად იმატა (38 307, 000 მან, წინააღმდეგ—7. 114,000 მ. და -1.051,000.

ამ წლის იანვარში იაპონიიდან შემოუტანიათ 16. 343, 000 მ. საქონელი, ამერიკის შეერთებულ შტატებიდან 15. 559, 000 მან. ინგლისიდან 3. 169,000 მან. და ჩინეთიდან 1. 557,000 მანეთისა.

წერილი ბორჯომიდან.

ბორჯომი ერთ ერთი საუკეთესო აგარაკად ითვლება არა თუ საქართველოში, მთელს ამიერ კავკასიაშიდაც კი. თვალ წარმტაც ბუნებასა და აგარაკის საუცხოვო მდებარეობას თან ერთვის ცნობილ ბორჯომის მინერალური და სამკურნალო წყლები, მოწყობილი აბანოები და ცოტაოდენი კულტურული სახე აგარაკის მოწყობისა. ამ მხრით მოაგარაკეს სრულიად გულდამშვიდებულად შეუძლია იყოს და ქალაქში აშლილი ნერვების დაწყნარების იმედიც შეუძლია იქონიოს, მაგრამ ომმა და საყოველთაო არევ-დარევამ ბორჯომსაც დაადვა მძიმე უღელი და სრულიად აქარწყლებს მასზე დამყარებულ იმედებს. პური აქ არ იშოვება და თუ იშოვე შუაღამის 12 საათიდან ვიდრე მყუდრო მოაგარაკე იძულებული—[illegible], რიგში ჩადგე და ამ მდგომარეობაში იყო ნაშუადღევამდის. შაქარი, რძე, ყველი და სხვა პირველი საჭიროების საგნები უფრო ძნელად საშოვარია და პირდაპირ საცოდავია ბორჯომში მოაგარაკე. ხორცისა და მწვანეულობის საშოვრადაც კი სურამში და ახლო-მახლო სოფლებში მიდის კაცი ბორჯომიდან. ამ ნაირად ბუნებით დაჯილდოვებული ბორჯომი ამ მხრით სრულებიდაც ვერ აკმაყოფილებს მოაგარაკეს. უბინობამ ხომ პირდაპირ სული ამოართვა მოსულებს. ჯერ ერთი, ვერც ერთ სასტუმროში თავისუფალ ოთახს ვერ იშოვი მატარებლები ყოველთვის 3—5 საათით იგვიანებენ და საღამოს მისავალი მატარებელი ღამის 3—4 საათზე მიდის ბორჯომში. როგორ შეუძლია ამ დროს მოსულ კაცს ასეთ გაჭირვების დროს სადმე მოეწყოს. იძულებულია ამიტომ ქუჩაში დარჩეს და დასასვენებლად მოსულმა უფრო დაიავადმყოფოს თავი. ბინის ქირაზე ხომ ლაპარაკიც მეტია. მამა-სისხლად ღირს ერთი დაბალ ჰერიანი და ყოვლად უვარგისი ოთახი.

რაც შეეხება ბორჯომის კულტურულ ცხოვრებას, ესეც ვერ არის სათანადოდ მოწყობილი. აქა-იქ ვითომ იმართება რაღაცაები, მაგრამ, ვაი იმ ნაირ გამართვას. ამას წინედ ჩამოვიდა ბალმონტი და წაიკითხა ლექცია შოთა რუსთველზე. ხალხი მეტად ნასიამოვნები დარჩა მგოსნის წარმტაცი ენითა და მომხიბლავი ფორმებით, რისთვისაც მხურვალე ტაშისცემა და ოვაციები გაუმართა ქართველების ერთგულ რუს პოეტს.

ამ დღეებში მოელიან აკადემიკოს მარს, რომელიც ახალ-ქალაქიდან ახალციხეში ჩავიდა სამეცნიერო გამოკვლევებისათვის, იქიდან აქაც აპირებს ჩამოსვლას. საყურადღებოა, რომ აქ ბევრი წარჩინებული საზოგადო მოღვაწე ქართველი იმყოფება. დრო გამოშვებით არც ექსცესებს არის ბორჯომი აშორებული. ამას წინედაც, როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან გაძარცვეს შუშის ქარხანა და მოჰკლეს მეეტლე. 7 ივლისს კიდევ სადგურთან ახლო იპოვეს მოკლული პოდპორუჩიკი, რომლის ვინაობაც ვერ გაიგეს და არ იციან თვით მოიკლა თავი თუ ბოროტის განზრახვით მოჰკლა ვინმემ.

არც პარტიული ცხოვრება არის აქ მოდუნებული. უმრავლესობას სოც.-დემოკრატები წარმოადგენენ. არიან ეროვნულ დემოკრატებიც ბლომად და სოც. ფედერალისტებიც. ხოლო სოც. ფედერალისტის ხსენებაც კი საშიშარია აქ, ისეთ ნაირად სძულს იგინი მკვიდრი ბორჯომლებს.

ეროვნულის შემადგენლობით ქართველები სჭარბობენ. არიან სომხებიც კაი ძალი და მოსული რუსებიც.

მოაგარაკე

რედაქტორ-გამომცემელი
დ. ბ. კვირკელია.

ექიმები:

ექიმი ვალერიანე მ. ლორთქიფანიძე იღებს შინაგანი, ბავშთა და ნერვების სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე დილის 11—2 საათ. საღამოს 7—9 ს. პუშკინის ქუჩა, ვიტემანსკის სახლი

დოკტორი მედიცინისა პრივატ დოცენტი ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი დაბრუნდა და განაახლა მიღება ავათმყოფებისა დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—9 საათამდი. მისამართი: გოსპიტლის ქუჩა საკუთარი სახლი.

ა. მ. ასათიანი ღებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდი პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

გ. ი. გოკიელი ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვების და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. 7 თ.

ი. ჩარქოვი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი, იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს. (სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით 12½—2 საათ. საღამოს 6—8 ს. მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიხვგოვის სახ. ტელეფონი 135 №.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტამბა „ძმობა“ პუშკინის ქუჩა გოკიელოვის სახლი, ქუთაისში.